ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7865031

ნომერი: AR11135616

თარიღი : 27.03.2026

გაცემის თარიღი : 31.03.2026

გაცნობის თარიღი : 31.03.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ ალიბეგაშვილი პ/ნ 01024009056
- თბილისი დ.გამრეკელის ქ. N 8 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 27 მარტს №AR11135616 განცხადებით მომართა ჯემალ ალიბეგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 და 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 ბრძანებით, №01.17.10.006.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2026 წლის 29 სექტემბრის №7646038 ბრძანებაში დემონტაჟის ვადასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 და 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ მშენებლობის ორგანიზების პროექტში სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები არასწორად არის მითითებული, კერძოდ, „21/1, 22/1, 23/1 და 24/1“ შენობა-ნაგებობების ნაცვლად დაფიქსირებულია „22/1, 23/1 და 24/1“ შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორება.
სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ №AR11103752 და №AR11119941 განცხადებებით მოთხოვნილ იქნა №01.17.10.006.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, „22/1, 23/1 და 24/1“ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმება/დემონტაჟის ნებართვის გაცემა და დემონტაჟის ვადის გაგრძელება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის დემონტაჟის ორგანიზების პროექტი/კალენდარული გრაფიკი და საინფორმაციო დაფა-ბანერი. სამსახურის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეთანხმდა „22/1, 23/1 და 24/1“ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი/გაიცა დემონტაჟის ნებართვა და გაგრძელდა დემონტაჟის ვადა. შესაბამისად, სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 და 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომა სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით არ ფიქსირდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 და 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებებში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7646038 და 2025 წლის 19 დეკემბრის №7747685 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.